ოქმი N13

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 27 ოქტომბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. შოთა სირაძე
7. ლევან ქავთარაძე
8. ნუგზარ შუშანია
9. მალხაზ ლაგვილავა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „ხობის“ თავმჯდომარის ვ. კუკავას (N314 23.10.2015) განცხადების განხილვა (ფრაქცია „ხობის“ თავმჯდომარის ცვლილებასთან დაკავშირებით)

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1750 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N04/1751 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების თაობაზე)

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1770 და 23 ოქტომბრის N05/1772 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 23 ოქტომბრის N05/1773 და 26 ოქტომბრის N05/1776 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „ხობის" თავმჯდომარის ვ. კუკავას (N314 23.10.2015) განცხადების განხილვა (ფრაქცია „ხობის" თავმჯდომარის ცვლილებასთან დაკავშირებით)

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო „ფრაქცია „ხობის" თავმჯდომარის განცხადება, რომლითაც წარმოდგენილია ინფორმაცია ფრაქცია „ხობის" თავმჯდომარის ცვლილებასთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ხობის" თავმჯდომარემ კახა მიქაბერიძემ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობა, ხოლო ფრაქციის გადაწყვეტილებით ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვასილ კუკავა. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი

განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი ცნობის სახით გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა კახა მიაბერიძის საკრებულოში წარმატებულ საქმიანობასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ის დაინიშნა ერთ-ერთი საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე და სამასახურეობრივი შეუთავსებლობიდან გამომდინარე პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს ფრაქცია „ხობის" თავმჯდომარის თანამდებობა, მაგრამ რჩება საკრებულოს და ფრაქციის რიგით წევრად. გამომსვლელმა წარმატებები უსურვა მას შემდგომ საქმიანობაში და მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ცნობის სახით შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1750 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის შესაბამისი სამსახურის განმარტებით გამგეობაში შევიდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 45.14.24.292) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლისთვის გადაცემის მიზნით. საკითხი შესწავლილ იქნა გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ და მათი დასკვნის საფუძველზე მომზადებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების

პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, აღნიშნული ფართი რა მიზნით გადაეცემოდა სახელმწიფოს?

გ. სიჭინავა - განმარტა, რომ აღნიშნული ფართი სახელმწიფოს მხრიდან გადაეცემოდა ქვემო ქვალონის N1 საჯარო სკოლას, სადაც დაგეგმილია თანამედროვე ტიპის ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა.

შ. სირაძე - გამომსვლელი დაინტერესდა ყოფილი კინოს სახლის „თუთარჩელას" შენობის რეაბილიტაცია თუ როდისთვის იგეგმებოდა?

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული შენობის რეაბილიტაციის დაწყება შეფერხდა სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ ამ დროისთვის ყველაფერი გამოსწორებულია და უახლოესი პერიოდისთვის დაიწყება შენობის სრული რეაბილიტაცია

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N04/1751 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების თაობაზე)

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით წარმოდგენილი ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო

ნაწილში 10239,1 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 10275,6 ათასი ლარი შეადგინა. 2015 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 56,7%-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 4000.0 ათასი ლარიდან შემოსულია 1051,3 ათასი ლარი (26,3%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 5559,7 ათასი ლარიდან მიღებულია 4172,3 ათასი ლარი (75,0%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 475,8 ათასი ლარიდან შემოსულია 453,1 ათასი ლარი (95,2%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 203,6 ათასი ლარიდან შემოსულია 133,1 ათასი ლარი (65,4%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-სექტემბრის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 57,8% (გეგმა 10275,6 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 5943,8 ათასი ლარი). მიმდინარე წლის 9 თვის შემოსულობების 100% ათვისებულია. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში და შესრულების შედეგებს აფასებს როგორც დამაკმაყოფილებელი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 20 ოქტომბრის N05/1770 და 23 ოქტომბრის N05/1772 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილები, რომლითაც წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანა ტოიოტა „ქემრი“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 2

ივლისის N164 და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 1 აგვისტოს N350 ბრძანებების თანახმად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით უსასყიდლო სარგებლობით, თხოვების ფორმით გადაცემული იყო საქართველოს შს სამინისტროზე. 2015 წლის 1 აგვისტოდან შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფის შემდეგ, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა გამგეობისგან 2015 წლის 25 აგვისტოს N1866860 წერილით ითხოვა ზემო აღნიშნული ავტომანქანის მათი სამსახურეობრივი ფუნქციონირების შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, თხოვების ფორმით ორი წლის ვადით გადაცემა, რაც განხილულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მიერ და მათი მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემო აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება, რის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 23 ოქტომბრის N05/1773 და 26 ოქტომბრის N05/1776 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: შ. სირაძე - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილები, რომლითაც წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის

შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, საკრებულოს სექტემბრის სხდომაზე ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული „ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N1 განკარგულება. გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოს მიერ მტკიცდებოდა, როგორც ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესყიდვების გეგმა, ასევე საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების შესყიდვების გეგმებიც, რაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე. გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ცვლილებები შედის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წესდებებში, რომლის თანახმადაც იურიდიული პირების ხელმძღვანელებს ენიჭებათ უფლებამოსილება, გამგებელთან შეთანხმებით დაამტკიცონ შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესი და შესყიდვების გეგმა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: შ. სირაძე - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და

აღნიშნა, რომ ოქტომბრიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ავტომატიზებულ პროგრამაზე „დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“ გადასვლასთან დაკავშირებით, საკრებულოს სექტემბრის სხდომაზე ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საკრებულოს განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბეჭდების, სატიტულო ფურცლების და სამართლებრივი აქტების ბლანკის ნიმუშების დამტკიცების თაობაზე“, სადაც გაპარულ იქნა შეცდომა, კერძოდ, ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის ბეჭდის ნიმუშებიც. ზემო აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისარებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა